ბესელია და კაკულია დვალიშვილს სიცრუეში ადანაშაულებენ

გვ. 2

ეკატერინე ნარმანია: ,,თუ გადააბიჯე შენს უფლებას, არღვევ სხვისას,,...

გვ. 6

,,რისთვის მკიცხავთ ქალბატონო დვალიშვილო, წარუმატებლობის გამო?,,

გვ. 3

ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲖᲘᲠᲝᲨᲘ

fasi 50 TeTri # 5 31 marti - 7 aprili 2014 weli gamodis samSabaTobiT

მაყვალა გონაშვილი: ,,ამ ორ ერს თუ რამე ჰქონდა საუკეთესო, ჯემალ აჯიაშვილში გაცხადდა...

გვ.6

ფოთელმა მეხანძრეებმა წვრთნა წარმატებით გაიარეს

გვ. 2

ფოთელმა მეხანძრეებმა წვრთნა წარმატებით გაიარეს

გვ. 2

ფოთის კოლხეთი 1913 უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის იბრძვის

გვ. 7

ფოთელი კარატისტების წარმატება

გვ. 7

აქ თქვენი რეკლამის და

მცირე განცხადებების ადგილია

სად გაქრა ასობით ათასი ლარი და როდის დასრულდება ფოთის მთავარი ქუჩის ტროტუარისა და სტადიონის მშენებლობა?

ᲔᲚᲖᲐ ᲨᲝᲜᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

როგორც უკვე ცნობილი და ნათელია, 2013 წელს მთავრობის მიერ ქალაქ ფოთისთვის გათვალისწინებული ტრანსფერით წინა წლიდან გადმოყოლილი ორი პროექტი - ქალაქის მთავარი ქუჩისა და მთავარი სტადიონის მშენებლობა - დადგენილ ვადებში ვერ დასრულდა და დღემდე გაურკვეველია, როდის დასრულდება. თვითმმართველობა ელოდება მორიგ წერილზე პასუხს შესყიდვების სააგენტოდან, საიდანაც ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა რამდენიმე ხნის წინ უკვე მიიღეს გაფრთხილება. თვითმმართველობა ავანსად გაცემული თანხების დაბრუნებას დამზღვევი კომპანიების მხრიდანაც ცდილობს. აღმაშენებლის ქუჩის დაახლოებით 4 კილომეტრიანი მონაკვეთის კეთილმოწყობა თავის თავზე აიღო "კომპანია მოდერნ სერვის საქართველოს" ფილიალმა, რომელსაც აღებული ვალდებულება უნდა შეესრულებინა 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 24 ოქტომბერს. როგორც მშენებლები ირწმუნებიან, კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ძალიან მცირე იყო, სამუშაოს მოცულობა კი დიდი. საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ფირმას კონტრაქტის ვადა გაუგრძელდა მიმდინარე წლის 19 იანვრამდე, მაგრამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ისევ შეუწყდა ხელშეკრულება. ამ ფაქტის შესახებ ეცნობა როგორც შესყიდვების სააგენტოს, ისე "მოდერნ სერვის საქართველოს" და მის დამზღვევ კომპანიას, "კავკასიის განვითარების ბანკს." ეს კომპანია გახლდათ გარანტორი, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში 5%-იანი პირგასამტეხლოს დამატებით დაებრუნებინა თანხები თვითმმართველობის ანგარიშზე. ავანსირების თანხა, რომელიც "მოდერნ სერვის საქართველომ " მიიღო 760 ათასი ლარია, ეს პროექტის საერთო ღირებულების 50 %-ია, ხოლო სამუშაოთა შესრულების შესახებ არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი არ აქვს წარმოდგენილი მერიასა და საკრებულოში. თვითმმართველობის მხრიდან

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ 3-ᲒᲕ.

gamomcemeli da direqtori
inga gvasalia -
599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

redaqtori
elza Sonia -
598 622 807

სტილისტ-კორექტორი -
maia CxeiZe -
591 145 709

დისტრიბუციის სამსახურის უფროსი
inga WiTanava
597 39 19 72

კორესპონდენტები:
Teona janaSia (senaki)
592 61 33 14
giorgi seskuria (zugdidi)
555 14 76 24
ana SongiraZe (Cxorowyu)
599 88 97 17

gamoqveynebuli masalis Sinaarsi SeiZleba ar emTxveodes redaqciis Tvalsazriss. statiis avtorebi Tavad ageben pasuxs informaciis sizusteze. redaqciaSi audio masalebi inaxeba ori kviris ganmavlobaSi, am vadis gasvlis Semdeg pretenziebi ar miiReba.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2013 წლის ბოლოდან 7 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია. და ზღრულ ნიშ-

ნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -1,74 ლარი ღირს, ერთი ევრო - 2,3 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

ბესელია და კაკულია დვალიშვილს სიცრუეში აღანაშაულებენ

ელზა შონია
ფოთი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ნინო დვალიშვილის ინტერვიუში გაკეთებულ განცხადებებს "ქართული ოცნების" ფოთის ორგანიზაცია და მაჟორიტარი დეპუტატი ეკა ბესელია გამოეხმაურნენ. შეგახსენებთ, რომ ამ ინტერვიუში ფოთის განათლების რესურს ცენტრის ყოფილი უფროსი ნინო დვალიშვილი საუბრობდა მაჟორიტარ ეკა ბესელიას მხრიდან მისი კანდიდატურის დაბლოკვაზე. მან იგივე განცხადება ადგილობრივი ტელევიზიის ეთერშიც გააკეთა. მის განცხადებებს მიეძღვნა ბრიფინგი "ნიკოლაძის გზით" პრეს კლუბში, სადაც "ქართული ოცნების" ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ირაკლი კაკულიამ განმარტა, რომ თავად ესწრებოდა დვალიშვილის მიერ ნახსენებ შეხვედრას მაჟორიტართან და თავად დვალიშვილმა ითხოვა დახმარება ხელმძღვანელი პოსტის დასაკავებლად, სანაცვლოდ კი პოლიტიკურ გუნდს მხარდაჭერა აღუთქვა. "ქალბატონი დვალიშვილი ჩირქს სცხებს მაჟორიტარს. მან შეხვედრაზე უპასუხა ქალბატონ ნინოს, რომ ამ საქმეში ვერ ჩაერეოდა. "ქართულ ოცნებას" აქვს აღებული სხვა კურსი. ყველამ კარგად იცის, როგორ დააწერინეს ქორქიას განცხადება შაშკინის კაბინეტში "- განაცხადა კაკულიამ. გავრცელდა ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ეკა ბესელიას განცხადებაც, სადაც ვკითხულობთ: "ვფიქრობ, ფოთის

პედაგოგიურმა კოლექტივმა უნდა იცოდეს სიმართლე. უნდა გამოაშკარავდეს ეს ფარისევლობა და ნაციონალური მეთოდებით ადამიანების გონების წამვლა. გრცხვენოდეს, გრცხვენოდეს, ქალბატონო დვალიშვილო, ამ სიცრუის და უღირსი ქმედების გამო, რაც აკადრეთ საკუთარ თავს და იმ სფეროს, რომელსაც წლების განმავლობაში ეუფროსებოდით. ქალბატონი დვალიშვილი იმ წარსულის ეპიზოდს განასახიერებს, რომელსაც ქვეყნის ნაციონალურად მართვა- გამგებლობა ერქვა. სადაც მინისტრსაც, პედაგოგსაც და დამლაგებელსაც სამსახურში გაამწესებდნენ მხოლოდ ერთი ნიშნით, თუ იგი იყო მოძალადე პოლიტიკური პარტიის "ნაციონალური მოძრაობის" ერთგული და მსახური. მესმის, რომ ახლა ახალი დროა, სადაც თავისუფლება, ღირსება და მაღალი პროფესიული სტანდარტია მთავარი".

სასამართლომ დარეჯან ცხვიტარიას მიმართ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა

ელზა შონია
ფოთი

26 მარტს, ფოთის საქალაქო სასამართლომ საკრებულოს წევრ დარეჯან ცხვიატრიას წინააღმდეგ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატისა და საქველმოქმედო ფონდ "ფაზისის" დირექტორის ილია ქვარცხავას სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მოსამართლე თეა ბერაიას გადაწყვეტილებით, დარეჯან ცხვიტარიას დაეკისრა მედიასაშუალებით საჯაროდ უარყოს ის ბრალდება, რაზეც მან რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში ისაუბრა. ცხვიტარიას თქმით ამ ფონდის საქმიანობა დაკავშირებულია ეკა ბესელიასთან და იქ ხდება თანხების მობილიზება. სასამართლომ არ დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით სარჩელში მოთხოვილი თანხის, 10 ათასი ლარის გადახდა. როგორც ცხვიტარია ამბობს, მას აქვს თავისი აზრის საჯაროდ დაფიქსირების უფლება და ამ უფლებას ვერავინ წაართმევს: "გადაწყვეტილებას მივიღებ მაშინ, როცა ჩამბარდება სასამართლოს განჩინება, მაგრამ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ბესელია დამარცხდა. მე ჩემი აზრი გამოვთქვი და არანაირი მტკიცებულება არ წარმიდგენია, უბრალოდ დავაფიქსირე პოზიცია, როგორც საკრებულოს წევრმა. ჩემთან მოდიოდნენ მოქალაქეები და მეკითხებოდნენ, რას საქმიანობდა ეს ფონდი, მე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება და ამის უფლება მაქვს. დღესაც სახალხოდ ვამბობ, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს. განჩინება რომ ჩამბარდება, მხოლოდ შემდეგ გავაკეთებ დასკვნას. რაც შეეხება თანხის გადახდას, რომელშიც გავმართლდი, სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ეს არაკანონიერი იყო, მე არ გავცდენილვარ ფარგლებს და ვისაუბრე იმ ჩარჩოს ფარგლებში, რის უფლებასაც მაძლევდა კანონი, მაგრამ მოვა დრო ბესელიას მოუწევს მსჯავრდებულის სკამზე დაჯდომა".

საქველმოქმედო ფონდ "ფაზისის" დაცვის მხარე აპირებს გადაწყვეტილება მეორე ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივროს. იურისტი გიორგი მოისწრაფიშვილი როგორც ამბობს:" სასამართლომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება. ქალბატონმა დარეჯანმა გაავრცელა სიცრუე და ეს მისი სტილია. მიუხედავად ახსნისა, ჯიუტად ამტკიცებდა და ამტკიცებს დღესაც თავისას. პირველი ინსტანციის სასამართლომ უკვე იურიდიულად დაადასტურა, რომ ეს ქალბატონი ცრუობს და ამ სიცრუეს თავისი პირადი მიზნებისთვის იყენებს. ჩემთვის გაუგებარია, რით იხელმძღვანელა სასამართლომ მაშინ, როდესაც დაადასტურა, რომ ქალბატონი დარეჯანი სიცრუეს ავრცელებდა და მეორეს მხრივ, არ დააკისრა მას თანხის გადახდა. ალბათ შეეცოდა, შემიძლია ასე ვთქვა. ჩვენ ამ ნაწილში აუცილებლად გავასაჩივრებთ გადაწყვეტილებას მოთხოვნით, რომ ქალბატონ დარეჯანს დაეკისროს თანხის გადახდა მორალური ზიანისათვის".

დარეჯან ცხვიტარიას ადვოკატი მარინა მანგოშვილი ამბობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მიუკერძოებელი და ობიექტურია. "მე ველოდი ასეთ გადაწყვეტილებას და ნამდვილად ობიექტურია. ყველაზე მთავარი გასათვალისწინებელი ისაა, რომ არ გვინდოდა დაგვეძაბა ურთიერთობა მოსარჩელე და მოპასუხე მხარეს შორის".

რით დასრულდება ამ ორი ადამიანის – ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა სასამართლო დავა, შემდეგ გავიგებთ. ცხადია, ამ მოახლოებული არჩევნების წინ ბრძოლა სკამების შენარჩუნებისა თუ დაბრუნებისთვის ბოლო, გადამწყვეტ ფაზაში შედის. ურთიერთბრალდებები – საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ორივე მხარეს მრავლად გაჩნია. იქნებ ცოტა ხალხზეც ეფიქრა ვინმეს? სასიკეთო ჯერ არაფერი ჩანს – ხალხს ისევ უჭირს და გამოსავალი არ ჩანს.

ფოთელმა მეხანძრეებმა წვრთნა წარმატებით გაიარეს

ელზა შონია
ფოთი

რამდენიმე დღის წინ, ფოთს სტუმრობდა შვედეთის "ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ცენტრის წარმომადგენელი რიკარდ ედვარდსი, რომელმაც ჩაატარა შვედური საერთაშორისო განვითარების სააგენტოს "სიდას" მიერ ფოთის მერიის სახანძრო-სამაშველო სამსახურში 2010-2013 წლებში განხორციელებული პირველი ორი ეტაპის მონიტორინგი. შვედმა წარმომადგენელმა დაათვალიერა სამსახურისთვის ამ პროექტის ფარგლებში გადაცემული ტექნიკა, ასევე მისი შენახვისა და პრაქტიკაში გამოყენების ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალები. ფოთელმა მეხანძრეებმა გამართეს საჩვენებელი წვრთნა ტექნიკით შეიარაღებისა და აღჭურვის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევებისა და ხერხების ჩვენებით და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სტუმარმა დადებითად შეაფასა პროექტის უკვე განხორციელებული ორი ეტაპი. ის კი არადა, აღნიშნა, რომ აღფრთოვანებულია ფოთელი მეხანძრეების პროფესიონალიზმით. რიკარდ ედვარდსი მეხანძრეებს დაჰპირდა, რომ იგი დადებს დადებით დასკვნას პროექტის მიმდინარეობის შესახებ და მოხარული იქნება ასეთი წარმატებული პროექტის მომავალში გაგრძელებით

დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების პროცედურები

1 აპრილიდან მოქალაქეები, რომელთა ხელფასის სახით დარიცხული წლიური შემოსავალი 2013 წელს 6000 ლარს არ აღემატებოდა, დაუბეგრავი მინიმუმის მისაღებად დეკლარაციების შევსებას დაიწყებენ. საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, 25 მარტიდან, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განთავსდება შემოსავლების სამსახურის ვიდეორგოლი დაუბეგრავი მინიმუმის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ. ვიდეორგოლის ნახვა შესაძლებელი იქნება ასევე შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე www.rs.ge. ვიდეორგოლის მეშვეობით, მოქალაქეები მიიღებენ ძირითად ინფორმაციას და მითითებებს დაუბეგრავი მინიმუმის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის მიღება მოქალაქეებს ასევე შეუძლიათ ვებ-გვერდზე განთავსებულ გრაფაში „ხშირად დასმული კითხვები".

დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად მოქალაქე, შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე www.rs.ge განთავსებულ შესაბამის ფორმაში, მხოლოდ პირადი ნომრისა და თავისი საბანკო რეკვიზიტის მითითებით, ავსებს ელექტრონულ დეკლარაციას და აქვე იღებს ინფორმაციას მისთვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობის შესახებ. კანონის შესაბამისად, დეკლარაციების შევსება დაიწყება 1 აპრილიდან. შესაბამისად, აღნიშნული ფორმა ვებ-გვერდზე 1 აპრილიდან გააქტიურდება. ელექტრონული დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, მოქალაქეს, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, დაუბრუნდება დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისი თანხა.

2013 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საგადასახადო კოდექსში დაუბეგრავი მინიმუმის ცნება შეიტანა, რაც დაბალშემოსავლიანი მოქალაქეებისათვის, რომელთა ხელფასის სახით დარიცხული წლიური შემოსავალი 2013 წელს 6000 ლარს არ აღემატებოდა, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, მაქსიმუმ 360 ლარის უკან დაბრუნებას გულისხმობს.

სად გაქრა ასობით ათასი ლარი და როდის დასრულდება ფოთის მთავარი ქუჩის ტროტუარისა და სტადიონის მშენებლობა?

დასაწყისი პირველი გვერდიდან

რამდენიმეჯერ მიმართვის მიუხედავად, გარანტორმა ბანკმა თანხა არ დააბრუნა. თვითმმართველობამ უკვე მიმართა აღმასრულებელს, რომ ამ გზით მოხდეს თანხის დაბრუნება, თუმცა ეს პროცედურები ჯერჯერობით მიმდინარეობს. რა გადაწყვეტილებას მიიღებს შესყიდვების სააგენტო, უცნობია. ჩაშლილი კონტრაქტის შემთხვევაში არსებობს რამდენიმე ვარიანტი - ან ახალი ტენდერის გამოცხადება და ახალი ფირმის ამ გზით მოძებნა, ან პირდაპირი წესით გადაცემა სხვა კომპანიაზე, რაზეც ნებართვა უნდა გასცეს საქართველოს მთავრობამ. თვითმმართველობაში ირწმუნებიან, რომ სამუშაოებს საფრთხე არ ემუქრება და არც მინიმალური ფინანსური დანაკარგი არსებობს.

ტენდერში გამარჯვებული მეორე ფირმა, რომელსაც სტადიონი უნდა აეშენებინა "ნიუ ქონსტრაქშენია". ამ კომპანიამაც დაარღვია ხელშეკრულების ვადები. თავდაპირველად ფირმამ ავანსის სახით კონტროლირებად ანგარიშზე მოითხოვა პროექტის საერთო ღირებულების 40% ანუ 969 ათასი ლარი. კონტროლირებადი ანგარიში ნიშნავს თანხების მიღებას ყოველგვარი საბანკო-სადაზღვევო გარანტიების გარეშე. ამ რისკზე თვითმმართველობა არ წავიდა, რადგან ჩათვალა, რომ მოთხოვნილი თანხა სამუშაოს არაპროპორციული იყო. აქედან გამომდინარე, "ნიუ ქონსტრაქშენს" თანხის 10%, 227 ათასი ლარი ჩაერიცხა კონტროლირებად ანგარიშზე. ამ თანხის შესრულება ფირმამ წარმოადგინა და მეორე ეტაპისთვის 500 ათასი ლარი მოითხოვა, რაზეც მოთხოვნა გაიგზავნა და რადგან ეს თანხები სახელმწიფო ტრანსფერი გახლდათ, როგორც კი მოხვდა ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე, ანუ ათ სამუშაო დღეში, ჩაერიცხა ფირმას. ამის შემდეგ, ფირმამ ერთი 400 ათასიანი და მეორე 300 ათასიანი ავანსის მიღებაზე წარმოადგინა გარანტია 27 და 30 დეკემბერს, კონტრაქტის ვადა კი 31 დეკემბერს იწურებოდა. თვითმმართველობას ამ პერიოდში არ ჰქონდა თანხა ანგარიშზე. თუმცა რომც ჰქონოდა, გაუგებარია, როგორ აპირებდა სამ დღეში "ნიუ ქონსტრაქშენი" 700 ათასი ლარის ათვისებას. ცხადია, კომპანიას, რომელსაც სამ დღეში ვადა ეწურებოდა და უკვე აღებული ჰქონდა ნახევარი მილიონი, ამხელა თანხა აღარ ჩაურიცხეს. ხოლო 2014 წლის მთავრობის ახალი განკარგულებით ჩარიცხა მოთხოვნილი თანხა 13 იანვარს, კონტრაქტს კი ვადა ჰქონდა გაგრძელებული 19 იანვრამდე (?) თვითმმართველობა სანქციების გატარების პროცესშია ამ ფირმასთანაც. გარანტორ სადაზღვევოს "არდი ჯგუფს " გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება პირგასამტეხლოსა და ავანსის თანხების ჩამორიცხვაზე, თუმცა რეაგირება ამ მოთხოვნაზე სადაზღვევომ არ გააკეთა. თვითმმართველობამ მიმართა აღსრულების ბიუროს გამარტივებული პროცედურების დაწყების თხოვნით.

სამუშაოების შეჩერების ძირითად მიზეზად სტადიონის მშენებელი ფირმა "ევრაზია 73"-ის წარმომადგენელი ვალოდია მსხილაძე თანხების დროულად არჩარიცხვას ასახელებს. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა: "თანხა 740 ათასი ლარი, რომელიც გადმორიცხეს, ათვისებულია. ჩვენ მასალების შემოსატანად კიდევ მოვითხოვეთ თანხები. 280 ათასი ლარის სამუშაოს შესრულება ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ნოემბერში. მივიღეთ ავანსი და ნოემბრის ბოლოს დაახლოებით სამასი ათასი ლარის შესრულება გვქონდა. ახლა შემოტანილია მასალები, სამუშაოები, რა თქმა უნდა შესრულებულია, მაგრამ ის მასალები სრულყოფილად არ გვაქვს და დაუფინანსებლობის გამო სამუშაოები გაჩერდა. ველოდებით დოკუმენტაციას. როგორც გადაწყდება იმის მიხედვით დაიდება ხელშეკრულება. იქნება დაფინანსება, დავუძახებთ იგივე მუშათა ჯგუფს. თანხები რომ დროულად მიგვეღო, გადავდიოდით 24 საათიან სამუშაო გრაფიკზე და დამატებით დასაქმდებოდა 50-60 კაცი. ტენდერების დაგვიანებამ და ხანმოკლე პერიოდმა გამოიწვია ეს ყველაფერი. თუ იქნება კეთილი ნება, რომ ხელშეკრულება გაგრძელდეს, მაქსიმალურად მოკლე დროში ობიექტს დავამთავრებთ და ჩავაბარებთ".

ჩვენ დავათვალიერეთ სტადიონი, სადაც

გაგრძელება 4-გვ.

,,რისთვის მკიცხავთ ქალბატონო დვალიშვილო, წარუმატებლობის გამო?,,

ელზა შონია
ფოთი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გავიდა ინტერვიუ ფოთის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ყოფილ დირექტორ ნინო დვალიშვილთან, რომელმაც ღიად გამოუცხადა ბრძოლა ფოთის მაჟორიტარ დეპუტატს ეკა ბესელიას. ინტერვიუში დვალიშვილი ასევე შეეხო ფოთის შპს "თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის" დირექტორს თამარ ფაჩულიას და იგი მოიხსენია ბესელიას ფავორიტად. გაზეთის გამოსვლის შემდეგ კი დაგვიკავშირდა თამარ ფაჩულია და გვთხოვა, მიგვეცა საშუალება პასუხი გაეცა ნინო დვალიშვილის ბრალდებისათვის. ჩვენ დავთანხმდით და გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

თამარ ფაჩულიამ 2009 წელს დააარსა კერძო სკოლა-გიმნაზია. ასევე 2006 წელს კონკურსის შედეგად დაინიშნა "ფოთის მრავალდარგოვანი კოლეჯის" (ყოფილი ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის) დირექტორად. დღემდე მუშაობს თავისავე დაარსებულ სკოლაში.

-მინდა გითხრათ, რომ ნამდვილად არ ვაპირებდი რეაგირებას ქალბატონი დვალიშვილის ნათქვამზე, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, მოვახდინო მისი სიტყვების კორექცია. იგი საუბრობს, როგორ დაწინაურდა სკოლის დირექტორობიდან რესურსცენტრის ხელმძღვანელობამდე. ის კარიერისტია. იბრძვის, ავიდეს მაღლა იერარქიულ კიბეზე, როგორც კი შესაფერის დროს იპოვის. მისი მუშაობის კომპონენტები რისგან შედგება იცით? თანამდებობის პირებთან დაახლოებით. წინა ხელისუფლების პერიოდში, ქალაქის მერ ვახტანგ ლემონჯავასთან ძალიან დაახლოებული გახლდათ დვალიშვილი და მასთან გამუდმებული მოლაპარაკების შედეგად, ადგილები კი არ გაიცვალა, მოუნდა ქალბატონ დვალიშვილს დაწინაურება, ჩააწყო საქმე. ნაც.მოძრაობის მხარდაჭერისათვის ლემონჯავამ მას დაუბევა ადგილი, რის შემდეგაც დვალიშვილი აპირებდა საკრებულოში შესვლას. მან გოჩა ქორქიას გამოაცალა სკამი. რატომ სხვა არ დააწინაურეს? ის ცდილობდა და გამოუვიდა კიდეც. გოჩაც არ დატოვეს უადგილოდ, რადგან მათ არ ეურჩებოდა. მახსოვს, იმ პერიოდში ვინ რა პოლიტიკას ეწეოდა, ვინ იყო ჩაწერილი ნაციონალური მოძრაობის სიაში წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში. ვის ეკიდა კაბინეტში მიშას სურათი და ასე შემდეგ.

_CaSlil konkursebze ras gvetyviT? apirebT Tu ara kidev monawileobas?

–დვალიშვილი ამბობს, მათი ფავორიტი ორჯერ ჩაიჭრა და მესამედ ბურჯანაძე-დემოკრატებში გადავიდაო. რა ფავორიტობა, ეს სიცრუე და აბსურდია (ვისაც ჩემი სიმართლის სჯერა, ჩემს გულწრფელობაში ეჭვს არ შეიტანს), მე წინააღმდეგი ვარ ისეთი პოზიციისა, რასაც ჰქვია ვინმეს ფავორიტობა. თუ ორჯერ ჩავიჭერი, მესამედ გადავედი რას ჰქვია? თუ ორჯერ მქონდა შანსი და ფავორიტი ვიყავი, ვინ შემიშალა ხელი? ეს აბსურდული და ალოგიკურია. ეს ორპირობაა და სირცხვილია, რომ ასეთ დემაგოგიას ეწევა პედაგოგი ქალი.

_konkursis qulebze ras gvetyviT, Tqven miiReT maRali Sefaseba?

-დვალიშვილის თქმით, მან მიიღო მაღალი ქულა. მესამედ რომ გავიდა 90 ქულაზე მეტი დაუგროვებია. როგორც ამბობს, პირველთაგანია საქართველოში და ფოთის რესურს ცენტრში კი არა განათლების სამინისტროში უნდა იმუშაოს, ალბათ. 2006 წელს ჩატარებულ რესურს ცენტრების უფროსის პირველ კონკურსზე, სადაც 6 კანდიდატი ვმონაწილეობდით, პირველივე ჯერზე გადავლახე ბარიერი და მივიღე 100-დან 80 ქულა, კი არ გამიუმჯობესებია ტესტირების დონე, როგორც დვალიშვილი აცხადებს სამარცხვინოდ, მესამედ მივიღე მაღალი ქულაო. მან გააუმჯობესა რეპეტიციის გავლის შემდეგ, მე კი 80 ქულა ავიღე, თუმცა არ დავუნიშნივართ. ამის გამო არ დამიწყია ბაქიბუქობა. რას უსვამს ხაზს ამით, ჩემს უუნარობას? როგორც ჩანს, მისთვის მნიშვნელოვანია სოციალური მოწონების, აღიარების მოტივი. ის გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია მისი შედეგების, წარმატების აღიარება. ჩემთვის კი მნიშვნელოვანია ურთიერთობის მოტივი. ეს არის დომინანტური ჩემთვის.

_ramdenad Seesabameba simarTles dvaliSvilis naTqvami, Tqvens partiulobasTan dakavSirebiT, marTla xarT burjanaZe-demokratebis wevri?

- მე არ გადავსულვარ არსად, იქ ვიყავი. მართალია, წევრი არა ვარ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ვარ მხარდაჭერი. ჩემი პოზიცია 2011 წლის 26 მაისს იყო ცალსახად გამოხატული. ეს არ იყო დამალული, მე და ჩემი ოჯახი 2011 წლის 26 მაისის პროტესტს ვუჭერდით მხარს. ვისაც ეჭვი ეპარება, შეუძლია გადამოწმება. რადგან ბურჯანაძის პარტიამ არ მიიღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში და მხარს უჭერდა ბიძინა ივანიშვილს, ანალოგიურად ჩვენც მხარს ვუჭერდით სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის მოცილებას. რასაკვირველია, მე ვაქტიურობდი არა პოლიტიკაში, არამედ სიმართლის თქმაში. მისგან განსხვავებით, ყოველთვის ვამბობდი სიმართლეს, არ ვარ დისტანციის თეორიის მომხრე და არ ველოდები რაღაც შესაფერის მომენტს სათქმელად. არანაირი შიშის შეგრძნება არ მქონია, მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლების მართლმსაჯულების სუსხი შეგვეხო ძალიან მწარედ მე და ჩემს ოჯახს, მაგრამ ამის გამო არასდროს დამიწუწუნია და არც გუნდრუკის კმევა დამიწყია ვინმესთვის. დვალიშვილს უნდოდა, "ქართული ოცნების" ნავში ჩამჯდარიყო, მაგრამ არ ჩააჯინეს, ამიტომ აქამდე ფარისევლობდა. მესამედ არ მივიღე კონკურში მონაწილეობა ამ მოარული ხმების გამო. არ მინდოდა ჩრდილი მიმეყენებინა ჩვენი ქალაქის დეპუტატისთვის და არც ჩემი სახელისათვის მინდოდა ასეთი ჩრდილის მიყენება. გადავწყვიტე, რომ არ მიმეღო კონკურსში მონაწილეობა. რადგან არ მინდა, ვინმეს ფავორიტად მოვიხსენიებოდე და ამით უხერხულობა გამოვიწვიო. არც ამჯერად ვმონაწილეობ, ისევ ამ ფაქტორის გამო და შეუძლია მშვიდად იყოს, ნურაფრის შეეშინდება.

-Tqven gaasaCivreT konkursSi miRebuli qula.

- მეორე კონკურსზე დამაკლდა ხუთი ქულა, გავასაჩივრე და მითხრეს, მოგემატათ ქულები, მაგრამ ერთი ქულა მაინც დაგაკლდა-

გაგრძელება 4-გვ

სად გაქრა ასობით ათასი ლარი და როდის დასრულდება ფოთის მთავარი ქუჩის ტროტუარისა და სტადიონის მშენებლობა?

დასაწყისი პირველი გვერდიდან

მხოლოდ ამოთხრილი ორმო, ჩასხმული ფუნდამენტი და გაჩერებული ტექნიკა ვნახეთ. ადგილზე მყოფი რამდენიმე მუშა პირად საუბრებში უკმაყოფილებას არ მალავდა. ამბობენ, რომ რაც მუშაობენ, ხელფასი არ აუღიათ. 2014 წელს კი საერთოდ არ უმუშავიათ. დილაობით მოდიან, ამოწმებენ ტექნიკას და ტერიტორიას და მიდიან. პასუხს კითხვაზე, როდის განახლდება სამუშაოები, არავინ სცემს.

ქალაქის მთავარი არქიტექტორი ილარიონ მელქაძე ამბობს, რომ ფირმებმა სამუშაოთა მხოლოდ მცირე ნაწილი შეასრულეს: "ტროტუარის მშენებელმა ფირმამ გადავადების მიუხედავად, ვერ შეასრულა სამუშაო. მათ წარმოადგინეს საბუთი ჰიდროგრაფიიდან უამინდობაზე, რაზეც გადაუვადდათ 20 დღე, თუმცა ამ დროშიც ვერ მოახერხეს საქმის დამთავრება. რაღაც სამუშაოები დაწყებულია, დაყრილია ხრეში, ჩასხმულია ფუნდამენტები, მაგრამ არ წარმოადგინეს დოკუმენტი, ამიტომ ოფიციალურად შესრულება აქვთ ნული. ჩვენმა სამსახურმა მიმართა მერიასა და საკრებულოს და ტარდება სანქციები. რაც შეეხება სტადიონს, იქ შესრულებულია 271 ათასი ლარის სამუშაო. ეს არის მიზერული ნაწილი. ფირმის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მეტი შეასრულეს, მაგრამ წარმოდგენილი ჯერჯერობით მეტი არ არის. თუ საქმე ბოლომდე არ მივიდა, არ ითვლება შესრულებად. ამ პროექტში იგულისხმება ტრიბუნების, გასახდელებისა და სხვა დამხმარე სათავსოების კეთილმოწყობა, ხოლო რაც დღემდე გაკეთებულია, სამუშაოს საერთო მოცულობის მხოლოდ 14%-ია".

მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულხან თოლორდავა როგორც ამბობს: "თვითმმართველობას ყველა იურიდიული პროცედურის გავლით დოკუმენტაცია გამართული აქვს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მინიმალური ფინანსური დანაკარგი მივიღოთ. პროცედურები ტარდება. მართალია, მოხდება დროში განწილვადება, მაგრამ სამუშაოებს საფრთხე არ ემუქრება. ჩვენ გაგვაჩნია მორალური დანაკარგი, რომ საქმე არ არის გაკეთებული. როცა ცხადდება ტენდერი, იქ გაწერილია ყველა ვადა, რომელიც აქვს წაყენებული თვითმმართველობას ამა თუ იმ ტენდერის პირობებში. როდესაც კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას, თუ ის კეთილსინდისიერია, ყურადღებით უნდა გაეცნოს არა მარტო ფასსა და მოგებას, არამედ ვადებსაც. იმის მტკიცება ვინმეს მხრიდან, რომ თანხები არ მისცეს და ამან დააბრკოლათ, აბსურდია. როცა საქმე გვაქვს ამხე ლა ტენდერებთან, რა თქმა უნდა, ფედერალური მთავრობაც და თვითმმართველობაც ითვალისწინებს გარკვეულ ავანსირებას, ეს აპრობირებული მეთოდია, მაგრამ რაც დღეს მივიღეთ, ამას ვერსად გავექცევით. თვითმმართველობა ატარებს ქმედით ღონისძიებებს და იმედია, მალე დასრულდება".

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კონტრაქტორ ფირმას "მოდერნ სერვის საქართველოს" და "ნიუ ქონსთრაქშენს" დაეკისრათ ვადაგადაცილებულ დღეებზე ჯარიმის გადახდა. ეს ვადები არის 19-დან 29 იანვრამდე. ჯარიმების ამოღების პროცედურა ჯერ არ დაწყებულა. როგორც გავარკვიეთ, ნაწილი ჯარიმებისა შეიძლება შესრულებით გაიქვითოს, რომელიც ჯერ აქვთ ფირმებს წარმოდგენილი, ნაწილზე კი

დავა გაგრძელდება. "მოდერნ სერვის საქართველო" დავობს სასამართლოში ჯარიმების ოდენობაზე. ეს თანხა დაახლოებით 164 ათასი ლარია.

28 მარტის საკრებულოს სხდომის გადაწყვეტილებით სტადიონის მშენებლობაზე ტენდერში გამარჯვებულ კომპანია "ნიუ ქონსთრაქშენს" უკვე შეუწყდა ხელშეკრულება. მის მზღვეველ კომპანია არდი ჯგუფს კი დაევალა პირგასამტეხლო თანხის 613 ათას 500 ლარის გადახდა, რის შემდეგადაც ხელახლა გამოცხადდება ტენდერი და აღდგება სამუშაოები სტადიონზე.

სად გაქრა ასობით ათასი ლარი გაუგებარია. უკვე ცნობილია, რომ საქმესთან კავშირში მყოფი პირები შესაბამის უწყებაში დაიბარეს. სად მარხია ძაღლის თავი და ვინაა ამ საქმის სათავეში, ჯერჯერობით გაურკვეველია. ერთი რამ ფაქტია, გაქრა საკმაოდ სოლიდური თანხა, საქმე კი არ გაკეთდა. ხალხი მოტყუებული დარჩა. მოხრეშილი ტროტუარით გაურკვეველი ვადით დარჩა ქალაქის მთავარი ქუჩა და არარსებული ინფრასტრუქტურის გამო სხვის სტადიონზე თამაშობენ ფოთელი ფეხბურთელები. სანამ ერთმანეთისთვის გადაბრალების რეჟიმში მტყუან- მართალი გაირკვევა, ფოთელებს ისევ შუა გზაზე სიარული, ხოლო უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსის მქონე ფეხბურთის გუნდს, რომელსაც დიდი ზეიმით მიულოცეს ასი წლის იუბილე ახალი მთავრობის წარმომადგენლებმა ცოტა ხნის წინ, ლანჩხუთისა და ქობულეთის სტადიონებზე საშინაო მატჩების ჩატარება მოუწევთ.

,,რისთვის მკიცხავთ ქალბატონო დვალიშვილო, წარუმატებლობის გამო?,,

დასაწყისი 3-გვ

თო. ვინ დაისაჯა? "ნაციონალური მოძრაობის" კადრებით იყო დაკომპლექტებული საკონკურსო კომისია ფაქტიურად. მესამე ეტაპამდე, სადაც განათლების მინისტრი, არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, არ მიმიშვეს. მე დავიბლოკე და დავისაჯე და დვალიშვილი იძახის ამას? ის არ დასჯილა, მან როგორ მიაღწია წარმატებას და მე როგორ? ნაბიჯ-ნაბიჯ, წვალებ-წვალებით მოვედი აქამდე. რომ არ მინდოდა ნაციონალებთან მუშაობა. გადავწყვიტე გამეხსნა სკოლა და ვყოფილიყავი ჩემთვის. რომ გაიძახიან დღემდე ნაციონალები, ჩვენ შეუცვლელი კადრები ვართო და ისევ გვინდა ადგილებიო, თავიანთმა მამა-პაპებმა შთამომავლობით დაუტოვეს თანამდებობები? ჩემს შთამომავლობას შეეძლება იმის თქმა, რომ შპს-ეს ვუტოვებ და მათ წინაპრებს არ დაუტოვებია მათთვის სამსახურები. რას იკლავს თავს ამ ხელისუფლებაში მუშაობით, ხომ არ მოსწონდა, სხვა შექმნას რამე, თუ უნარი აქვს. დვალიშვილი თუ არ იყო წევრი ნაცმოძრაობის, სამაგიეროდ, აშკარად ეწეოდა პოლიტიკურ პროპაგანდას. მაგალითად, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ტექ-პერსონალს სხვადასხვა შეკრებაზე აგზავნიდა, ამ კუთხით დიდაქტიკას უტარებდა. მე კი სიმართლის სადარაჯოზე ვდგავარ, ვიდექი და ვიდგები ყოველთვის, ამას არ სჭირდება პარტიაში ყოფნა. სიმართლე სადაც იქნება, იქ ვიქნები.

- qalbaton beselias piradad icnobT?

- ვიცნობ, უცხოები არ გვეთქმის, მაგრამ ამის გამო მისთვის არასდროს მითხოვია მხარდაჭერა. ნაცნობობა არ ნიშნავს, რომ ვინმე ვინმეს ფავორიტია. მირჩევნია, ყოველთვის მართალი ვიყო. ჩემთვის ქალბატონი დვალიშვილისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანია ურთიერთობის მოტივი. უსაფუძვლოდ დებს ბრალს მაჟორიტარს და უსამართლოდ იბრძვის. რაც უნდა ფეხები აბაკუნო, თუ არ გერგება, არ გამოგივა. დვალიშვილი ცდილობდა მოხვედრილიყო ქართული ოცნების გუნდში, მაგრამ ვერ მოხვდა, და გადავიდა უსამართლო დაპირისპირებაზე. შემიძლია მოგიყვანოთ მაგალითი აკაკი წერეთლის "ჩემი თავგადასავლიდან", ქალბატონი ნინო მასწავლებელია და ამიტომაც მომყავს ეს მაგალითი. როდესაც მოსწავლე ვოლკოვმა ზეპირად არ იცოდა გაკვეთილი, მაგრამ თავისი სიტყვებით მშვენივრად ახსნა. მასწავლებელმა უთხრა: განა სწუნობ მაგის დამწერის სიტყვებსო? და იგი გარეთ გააგდო, ცუდი ნიშანი დაუწერა. მეორე დღეს ვოლკოვს სულ დაეზეპირებინა გაკვეთილი, სხაპა-სხუპით მოჰყვა, მასწავლებელმა უთხრა, აი, ასე უნდა ისწავლო და არა შენი სიტყვებითო. ასე მოძღვრავდა ქალბატონი დვალიშვილიც პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს და ყველა დაშინებული ჰყავდა. ყველას მის ენაზე უნდა ესწავლა ლაპარაკი, ნაციონალების სასარგებლოდ.

_ Tqveni azriT Tu nino dvaliSvilma konkursze umaRlesi qula miiRo, radgan is warsulSi muSaobda, ar unda dainiSnos resurs centris direqtorad?

-მაღალი ქულა არ ნიშნავს გარანტირებულ ადგილს. მაშინ არ იქნებოდა მესამე ეტაპი, გასაუბრება. ადამიანი, რომელიც ამდენ სიცრუეს ავრცელებს, როგორ გასაუბრებას გაივლიდა წარმომიდგენია. მე არ ვაპირებ ასეთი მეთოდებით არანაირი თანამდებობისთვის ბრძოლას და გავაგრძელებ ჩემს საქმეს, ღვთის წყალობით, სხვების დაუხმარებლად, ჩაწყობებისა და მხარდაჭერების გარეშე რომ შევქმენი. რაც შეეხება მის დანიშვნა-არ დანიშვნას, არ მიმაჩნია სწორად ყოფილი უფროსი ისევ ხელმეორედ დაინიშნოს. რა სხვები ვერ შეძლებენ? მით უმეტეს მას პარტიული მუშაობა უფრო მოსწონს, ვიდრე საგანმანათლებლო საქმიანობა.

-თქვენი აზრით, განათლების სფერო უნდა იყოს პოლიტიზირებული?

-განათლება ის სფეროა, სადაც უნდა მოღვაწეობდნენ განათლებული მაღალზნეობრივი ადამიანები, რომლებიც აღზრდიან ღირსეულ მომავალს, ნამდვილ ადამიანებს. რა მნიშვნელობა აქვს, რომელ პოზიციაზე იქნები, მთავარია, სიმართლეზე არ დახუჭო თვალი. უღირსი საქციელი, რასაც წინა ხელისუფლება კარნახობდა და დირექტივებს აძლევდა, არ ჩაიდინო. თუ არ მოგწონს, რაც არასწორია, საჯაროდ უნდა განაცხადო და ახლა რა აქვს საბრძოლველი დვალიშვილს?ეს ყველაფერი მისი საქმიანობის ლოგიკური დასასრულია. მინდა მას მივმართო -რისთვის მკიცხავთ ქალბატონო დვალიშვილო, წარუმატებლობის გამო? ეს დამოკიდებულება თქვენ გჩვევიათ თქვენს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან. რომელი გამორჩეული სკოლის დირექტორი ის იყო, მას დალაგებული სკოლა ჩაბარდა და იმასაც ვერ მიხედა ბოლომდე. მათ სკოლაში თუ მოსწავლე საკუთარ მასწავლებელთან არ ემზადებოდა, მაღალ ნიშანს არ უწერდნენ და ასე სჯიდნენ. აი, ეს იყო მისი მეთოდი. შეიძლება სხვა მოსწავლეები მოამზადო, ირეპეტიტორო, მაგრამ საკუთარი მოსწავლის მომზადება არ შეიძლება. ეს იყო მისი დირექტორობა. რა მადლობის ფურცლები, სიგელები და სერთიფიკატები აქვს მიღებული დირექტორობის, ან რესურსცენტრში მუშაობის პერიოდში? დაბოლოს, როგორც სულხან საბა ორბელიანი გვასწავლის: " მოწყალებისა ქარითა მრისხანებისა ღველფი განიბნივე და სიტკბოსა წყლითა მის ალი დაშრიტე და მერმე მეტყოდე". დამშვიდდით, ქალბატონო ნინო, და შემდეგ უფრო ადეკვატური იქნებით. არ არის საჭირო კონფლიქტის კერების გაღვივება საგანმანათლებლო სფეროში. განათლებულ ადამიანებს ეს არ შეეფერება. დღეს ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ განათლება პოლიტიკისგან თავისუფალია. როდესაც მე სკოლის ავტორიზაცია გავიარე, ქალბატონმა დვალიშვილმა დამირეკა, მომილოცა ავტორიზაციის გავლა და მითხრა, რომ ძალიან დიდი სურვილი მაქვს თქვენაირ დირექტორთან სასწავლო ნაწილად ვიმუშაოო, მაშინ ასე ფიქრობდა. ტესტის ჩაბარება არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი შეეფერება ამა თუ იმ ადგილს. ამისათვის საჭიროა გამოცდილება, ადამიანებთან ურთიერთობის უნარი და სხვა თვისებები. მე მისთვის რეცეპტებს ვერ გავცემ, მან თავად უნდა გადაწყვიტოს, როდის, როგორ მოიქცეს. მე, უბრალოდ არ მომწონს აგრესიული ადამიანი. იმედს ვიტოვებ, ამიერიდან, მას არ მოუნდება ჩემი სახელის ცუდ კონტექსტში გამოყენება.

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“

კოდი – 124

უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას:

ბაკალავრიატი:

სოცმეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტი:

ბიზნესის ადმინისტრირება

ტურიზმი

იურიდიული ფაკულტეტი:

სამართალი

ჯანმრთელობის დაცვის ფაკულტეტი:

სტომატოლოგია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

ფილოლოგია (ინგლისური)

მაგისტრატურა:

ბიზნესის ადმინისტრირება (საერთაშორისო პროგრამა)

უნივერსიტეტის მისია

ხარისხიანი, ხელმისაწვდომი, თანამედროვე განათლების უზრუნველყოფა ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, გამოცდილი და აგრეთვე, ახალი ფორმაციის სპეციალისტების კვალიფიკაციის მეშვეობით. მათ გააჩნიათ, უშუალოდ მეცნიერებაში, წარმოებასა და სამეწარმეო საქმიანობაში მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის უნარი და ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ, ხელი შეუწყონ პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

თანამედროვე სასწავლო კორპუსი ქალაქის ცენტრში, კომპიუტერიზებული ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით, კომპიუტერული კლასები, იურიდიული კლინიკა, სასამართლო დარბაზი იმიტირებული პროცესებისათვის, სტომატოლოგიური კაბინეტები და საკონფერენციო დარბაზები.

სტუდენტები პრაქტიკას გადიან ტურისტულ ფირმებსა და სასტუმროებში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საადვოკატო ოფისებში.

წარჩინებული სტუდენტები იგებენ სტიპენდიას.

მიმდინარე სასწავლო წლიდან უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ TEMPUS-ის სამწლიან პროექტში

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია, ბიზნესის ადმინისტრირების, ბიზნესკომუნიკაციის თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევის, პროფესიული საქმიანობის, პრაქტიკული უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამა არის 120-კრედიტიანი, რომლის დასრულების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. პროგრამა შემუშავდა ჰოლანდიის უნივერსიტეტთან – New European University და გაიცემა ორმაგი დიპლომი.

უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მზია ქათამაძე** ევროპის რექტორთა კლუბის წევრია. კლუბის წევრთა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყანაში წელიწადში რამდენჯერმე იმართება, რაც უნივერსიტეტს უცხოელ კოლეგებთან, ევროპის უმაღლეს სასწავლებლებთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებაში ეხმარება. ამ ურთიერთობების შედეგია საქმიანი კონტაქტები და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები საფრანგეთის, ჰოლანდიის, ჩეხეთის, აშშ-ის და ლატვიის პრესტიჟულ უნივერსიტეტებთან.

„ერთი მთლიანი უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ერთობლიობა,” – ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს ეს სიტყვები საფუძველია ჩვენი უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრებისა. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი” ესაა სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ერთი მთლიანი, მუდამ განახლებადი სისტემა, რომელიც საერთო საქმეს – სტუდენტებისთვის კვალიფიციური განათლების მიცემას ემსახურება. ჩვენთვის ერთნაირად ძვირფასია თითოეული სტუდენტი, მათი იდეები და შეხედულებები. გიწვევთ ჩვენთან სასწავლებლად და სათანამშრომლოდ. გახსოვდეთ – „ჩვენ ვზრდით პროფესიონალებს”! – თქვენი მომავალი გარანტირებულია“. უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მზია ქათამაძე.

მისამართი: თბილისი, ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზ. მეორე ჩიხი №5ა

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

2 91 50 33; 2 10 58 75; 2 91 50 08

www.gorgasali.edu.ge Facebook: www.facebook.com/UniversityGorgasali

მაყვალა გონაშვილი: „ამ ორ ერს თუ რამე ჰქონდა საუკეთესო, ჯემალ აჯიაშვილში გაცხადდა...

თეონა ჯანაშია
სენაკი

სენაკში დაბადებულ და გაზრდილ, საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას კლასელს, პოეტს, მწერალსა და მთარგმნელს ჯემალ აჯიაშვილს 23 მარტს 70 წელი შეუსრულდებოდა. იგი ყოველთვის დიდი სიყვარულით იგონებდა მშობლიურ სენაკს. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის სამთავრობო კომისიისა და სენაკის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, სენაკში სინაგოგა გაიხსნა. საკრებულოს მოპირდაპირედ არსებულ პატარა მოედანს აჯიაშვილის სახელი მიენიჭა. ასევე, გაიხსნა სტენდი ჟიული შარტავას სახლობის მე-2 საჯარო სკოლის შესასვლელთან წარწერით, რომ აქ სწავლობდა ქართველი ებრაელი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე ჯემალ აჯიაშვილი. „მიუხედავად იმისა, რომ იგი ძირითადად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში, უწევდა მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი საუბრობდა სენაკზე და განსაკუთრებითაც უყვარდა ეს კუთხე და ეს ქალაქი"-გვითხრა ჯემალ აჯიაშვილის ვაჟმა დიმა აჯიაშვილმა.

თბილისიდან ჩამოვიდნენ კულტურისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ჯემალ აჯიაშვილის მეგობრები, ახლობლები. საზეიმო ცერემონიალს დაესწრო კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი. „ამ სფეროში მან შექმნა უნიკალური რამ - ქართულ პოეზიას შესძინა ისეთი ლექსიკა, რომელიც სხვასთან არ არსებობს. ეს ისეთი ენაა, მხოლოდ ჯემალისეული"-აღნიშნა მანანა ბერიკაშვილმა.

„სინაგოგა ფუნქციონირებდა, მაგრამ მას მიენიჭა ჯემალ აჯიაშვილის სახელი, მისი სახელი დაერქვა ასევე ქუჩას. გვექნება მისი სახელობის სკვერიც. მე მერგო წილად გამომეცხადებინა ჯემალი, როგორც საუკუნის ქართველი ებრაელი"-განაცხადა რადიო „ჯაკოს" დამფუძნებელმა და ყველასათვის საყვარელმა სპორტულმა კომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა. სწორედ მას მიჰყავდა სინაგოგაში, სკვერთან და მე-2 საჯარო სკოლასთან საზეიმო ცერემონიალი, სადაც სიტყვით გამოვიდნენ გივი შახნაზარი, ერეკლე საღლიანი, ანზორ ერქომაიშვილი, მაყვალა გონაშვილი, ჯემალ სეფიაშვილი, ნათელა პატარკაციშვილი, ბორის დავითაია, დამირ კუჭავა, ზურაბ ჯორჯიკია, გივი წიწუაშვილი, ნატო კვანტალიანი, ზაირა დავარაშვილი, დიტო აჯიაშვილი და სხვანი.

„ძალიან დიდი დღეა დღეს სენაკში. ულამაზესი დღეა, ხედავთ რამდენი მზეა? ალბათ დიდი ხანია არ ყოფილა. დიდი დღეა იმიტომ, რომ ძალიან დიდი კაცის, სენაკელი კაცის ხსენებაა - ბატონ ჯემალ აჯიაშვილის. მე ბედნიერი ვარ, რომ ვარ თქვენთან. აქ ბევრი მეგობარი, ნათესავებიც მყავს. მეგრელების სიძე ვარ. ყველას დიდი მადლობა ამ დღისთვის"–გვითხრა მომღერალმა და კომპოზიტორმა ჯემალ სეფიაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ჯამლეტ ხუხაშვილს სინაგოგაში სიტყვით გამოსვლისას დაუკავშირდნენ ისრაელიდან და პირდაპირი სატელეფონო ჩართვა ჰქონდა ისრაელის ერთ-ერთ რადიოში, სადაც ამომწურავად ისაუბრა ყველა იმ ღონისძიებაზე, რაც ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას ეძღვნებოდა სენაკში. მერე დასძინა, რომ სენაკში 26 გრადუსია სითბო, ერთი გრადუსით მეტი, ვიდრე ისრაელში, ანუ ჩვენთან უფრო მეტი მზეაო. სინაგოგაში და ასევე სკვერის გახსნაზე იმყოფებოდა სამეგრელო- ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე ხვიჩა ჯიშკარიანი.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა: „ეს წელი გამოცხადებულია ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის წლად და თავისებურად სიმბოლურია, რომ ჯემალ აჯიაშვილის საიუბილეო წელიცაა. ამ ორ ერს თუ რამე ჰქონდა საუკეთესო, ჯემალ აჯიაშვილში გაცხადდა. ჩვენ რუსთაველის ერი ვართ. ის ძვირფასი ქართული, რომელიც გვესმოდა რუსთაველში, თითქოს საუკუნეების მერე დაიკარგა ქართულ ლიტერატურაში. რა ბედნიერებაა, რომ ჯემალ აჯიაშვილმა მოახერხა ებრაული პოეზია ისე მოწვდინა ჩვენამდე (არა მარტო ებრაული, მან თარგმნა გერმანელი მწერლები, რუსული პოეზიაც), რომ ხვდები, შენ რუსთაველის ერი ხარ და ამ ენას მხოლოდ ასეთი ქართული ეკადრება. სულ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მას ბულბული ეჯდა თავსასთუმალთან და კარნახობდა ღვთაებრივ სიტყვებს. ჯემალს ვიცნობდი, მასთან ვმეგობრობდი და ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ ჩემი თანამედროვე იყო. კიდევ იმით ვარ ბედნიერი, რომ ბოლო წიგნი მისი გარდაცვალების შემდეგ მე გამოვეცი, შევარჩიე ყველაფერი საუკეთესო, რაც ჰქონდა ჯემალს თარგმნილი, ასევე მისი ორიგინალური ლექსები, რომელიც ნაკლებად იცის ქართველმა ხალხმა. მან ამ წიგნისთვის მიიღო რუსთაველის პრემია გარდაცვალების შემდეგ. ეს არის ყველაზე ლამაზი და კარგი წიგნი, რაც გასულ წელს მიიღო ქართველმა მკითველმა".

ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის ფოიეში მოეწყო ქართულ-ებრაული ურთიერთობის ამსახველი ფოტოგამოფენა თემაზე: „ქართველთა და ებრაელთა განუყოფლობის დასტურად".

საიუბილეო ღონისძიებები თეატრში საზეიმო კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციით თბილისის კერძო სკოლა "სადუნის" მოსწავლეები, „კოლხური ტრიო", ხალხური სიმღერების ანსამბლი „ეგრისი", ქორეოგრაფიული ანსამბლები "მეგა" და „კოლხი", (ქორეოგრაფები ეკატერინე გაბრავა და მამუკა მესხიშვილი), ნინო გოთოშია, ჯემალ სეფიაშვილი, მარიკა მირველაშვილი ანსამბლ "ალილოსთან" ერთად, ანსამბლ „რუსთავის" სოლისტი დავით გველესიანი. საღამო მიჰყავდათ თამარ მახარაშვილსა და ერეკლე საღლიანს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სენაკელი, საოპერო ხმის მქონე დამწყები მომღერალი, რომელმაც არაჩვეულებრივად შეასრულა „მთაწმინდა დადუმებულა".

კოცერტის დაწყებამდე აჩვენეს ფილმი ჯემალ აჯიაშვილზე, სადაც თვითონ პოეტი ყვება თავის წარმომავლობაზე, შემოქმედებით ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, იმ დიდ გრძნობაზე, რომელიც აკავშირებდა როგორც ისრაელთან, ასევე საქართველოსთან.

ჯემალ აჯიაშვილი 1944 წლის 23 მარტს დაბა სენაკში დაიბადა და 2013 წლის 5 იანვარს ისრაელში გარდაიცვალა. მისი მშობლიური სახლი საკალანდარიშვილოს სასაფლაოსთან, ყოფილი ოქტომბრის ქუჩაზე დღესაც დგას. მისი სურვილი ყოფილა, ეს სახლი არასოდეს გაიყიდოს.

ეკატერინე ნარმანია: „თუ გადააბიჯე შენს უფლებას, არღვევ სხვისას,...

თეონა ჯანაშია
სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდ „სოხუმის" ინიციატივით გაიმართა შეხვედრა-დისკუსია თემაზე "ოჯახური ძალადობა". შეხვედრას ესწრებოდნენ საზოგადოების თითქმის ყველა ფენისა და და გამგეობა-საკრებულოს წარმომადგენლები, სამართალდამცავები სენაკისა და ფოთის საპატრულო პოლიციიდან, ასევე სენაკის კრიმინალური პოლიციიდან, სასამართლოდან. შეხვედრას ესწრებოდა ადვოკატი მაია რობაქიძე, რომელმაც ოჯახური ძალადობის ფაქტებზე ისაუბრა უფლებადამცველის პოზიციიდან. შეხვედრაზე მოწვეული გახლდათ „წითელი ჯვარიც". სოციალური სააგენტოს სენაკის განყოფილების თანამშრომელმა ბელა ბიგვავამ ისაუბრა ოჯახური ძალადობის კონკრეტულ ფაქტზე, რასაც ადგილი ჰქონდა სენაკის ერთ-ერთ სოფელში. მთვრალი მამა შვილებს ყოველ ღამე სცემდა. ამ საქმეში ჩაერია სენაკის კრიმინალური პოლიცია. ბავშვებს ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდათ, მაგრამ სენაკში ერთი ფსიქოლოგიც კი არ აღმოჩნდა. შეხვედრაზე გამოიკვეთა სენაკში ფსიქოლოგის არარსებობის პრობლემაც. ერთადერთი სკოლა, სადაც ფსიქოლოგის შტატი არსებობდა, ისიც მცირე ხნით, იყო მე-3 საჯარო სკოლაში. სენაკის რესურსცენტრის დირექტორმა მანანა გრიგოლავამ განმარტა, რომ ფინანსური რესურსები არ იძლევა სკოლებში ფსიქოლოგის შტატის არსებობის საშუალებას.

შეხდვედრაზე ისაუბრეს ასევე მოძალადის ფსიქოლოგიურ დახმარებაზეც. ფონდი „სოხუმის" წარმომადგენლები თვლიან, რომ აუცილებელია, ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოვლენაში საზოგადოება იყოს უფრო აქტიური, თუმცა ქართული მენტალობიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის ფაქტები უმრავლეს შემთხვევაში იმალება და სააშკარაოზე არ გამოაქვთ. ამას ადასტურებს ის სტატისტიკური მონაცემიც, რომელიც ფოთის საპატრულო პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაასახელა. აღმოჩნდა, რომ 2013 წელს ოჯახური ძალადობის ფაქტზე სენაკიდან მხოლოდ სამი შემთხვევა იყო დაფიქსირებული. არადა, რეალურად, ალბათ, გაცილებით მეტი ასეთი შემთხვევა ხდება. შეხვედრაზე ისაუბრეს მიზეზებზეც, რის გამოც, ძირითადად, ადგილი აქვს ოჯახური ძალადობის ფაქტებს. სამართალდამცავების მოსაზრებით, ამის მთავარი მიზეზი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, რის გამოც მამაკაცი ხშირად ეძალება ალკოჰოლს.

ფონდ „სოხუმის" იურისტ-კონსულტანტმა ეკატერინე ნარმანიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ აუცილებელია ბავშვებმა იცოდნენ თავიანთი უფლებები, რათა თავი დაიცვან, რადგან ოჯახში მშობლების ჩხუბით ყველაზე დაჩაგრულნი სწორედ ბავშვები არიან. „ვთვლი, რომ ბავშვმა უნდა იცოდეს საკუთარი და ამავე დროს სხვისი უფლებაც, რადგან თუ გადააბიჯე შენს უფლებას, არღვევ სხვის უფლებას. სკოლებში თუ იქნება დანერგილი გაკვეთილები ამ საკითხებზე საკანონმდებლო ბაზის გამოყენების საფუძველზე, რა თქმა უნდა, შედეგს გამოიღებს და შემდგომში ჩვენ არ მივიღებთ მონსტრს, რომელიც ზიანს აყენებს არა მხოლოდ სხვას, არამედ საკუთარი ოჯახის წევრებს. ხშირია ოჯახური ძალადობის ფაქტები. ინფორმირებული ადამიანი გარანტირებულია იყოს დაცული"-განაცხადა ეკატერინე ნარმანიამ ჩვენთან საუბარში.

„დღეს იყო სამოქალაქო დებატები თემაზე, რამდენად ადექვატურია საერთოდ ადგილობრივი თვითმმართველობა ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა ძალადობის საქმეში. ეს რიგით მეორე დებატია ადგილობრივ თვითმმართველობასთან. პირველი დებატი ჩატარდა ზუგდიდში. დაგეგმილია დებატები წყალტუბოში, ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ყველა ქალაქში, სადაც ჩვენ გვიწევს მუშაობა. ფონდი „სოხუმი" უკვე 20 წელია მუშაობს ქალთა მხარდაჭერისა და გაძლიერებისათვის. როდესაც საუბარია ძალადობაზე, მსხვერპლად, პირველ რიგში, ქალი მოიაზრება და, აქედან გამომდინარე, ჩვენი ფუნქციაა დავიცვათ ქალი. ძალადობის მსხვერპლი იღებს დახმარებას გარკვეულ ეტაპამდე. სამწუხაროდ, ამის იქით ვერ მივდივართ. ანუ, ეს არის ფსიქოლოგის, იურისტის დახმარება. აუცილებელია, ამ პრობლემაში პრევენციის სახით მოვიაზროთ ადგილობრივი თვითმმართველობა, რათა ბიუჯეტში ჩაიდოს გარკვეული თანხები"- გვითხრა ფონდ, „სოხუმის" წარმომადგენელმა ნინო ლიპარტიამ.

როგორც აღინიშნა, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეიქმნება ანტიკრიზისული ცენტრი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად. „დაგეგმილი გვაქვს ანტიკრიზისული ცენტრის შექმნა.სამართლებრივი ფორმით ეს როგორ იქნება, ამაზე იურისტები იმუშავებენ. ძირითადად მისი ფუნქცია იქნება ფსიქოლოგიური, სამართლებრივი დახმარება. გარდა ამისა, იმუშავებს ცხელი ხაზიც. სოციალური პროგრამებიდან შესაძლებელი იქნება ასიგნებების ჩადებაც ამ პროექტისთვის. ჭარბი ბიუჯეტიდანაც შეიძლება თანხები ამ მიმართულებითაც გავითვალისწინოთ"- განაცხადა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ და ამავე დროს საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ნატალია ხუბულავამ.

ᲤᲝᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲔᲚᲖᲐ ᲨᲝᲜᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

გასულ კვირას ფოთში რიგით მეშვიდე ტრადიციული ღია ტურნირი „შოტოკან კარატე დო"-სა და კონტაქტურ კარატეში გაიმართა, რომლის ორგანიზატორი გახლდათ ფოთის კარატე დოს ფედერაცია, რომლის პრეზიდენტია ბაჩუკი სულამანიძე. მასში მონაწილეობდნენ ზესტაფონის, ქუთაისის, სენაკის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის, ფოთის, აჭარის, გურიისა და აფხაზეთის ფედერაციის სპორტსმენები 5-დან 25 წლამდე. ეს ტურნირი ამავე დროს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი შესარჩევი ტურიც იყო.

სოფლიო ჩემპიონატი გაიმართება კოსოვოში 4-5-6 აპრილს. ტურნირი ერთდღიანი გახლდათ და კარგად ჩატარდა. გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები და სიგელები. მთავარ ადგილებზე გასულ სპორტსმენთა სია ასე გამოიყურება:

18 წლის ასაკში I ადგილი ზვიად კუციამ დაიკავა, II ადგილის მფლობელი მიშიკო ადამია გახდა.

16-17 წლის ასაკში კარატე პირველ ადგილზე გოგა კორტავა გავიდა

14 წლის ასაკში III ადგილის მფლობელი ლუკა ალანია გახდა.

10-11 წლის ასაკში კონტაქტური კარატეში I ადგილზე საბა ცაავა გავიდა.

6-7 წლიანები, ხორავა გიორგი (I ადგილი)
5 წლიანები კობალავა ლუკა (I ადგილი)
"კატაში" , 10 წლიანებში I ადგილი ხორავა გიორგიმ დაიკავა, II ადგილზე ტუღუში ნიკა გავიდა.

13 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში I ადგილი ცაავა საბას ერგო.
გოგონები 18 წლის ზევით
I ადგილზე სულამანიძე თეონა გავიდა.
12-13 წლიანი გოგონებს შორის II ადგილი ერგო ლომაია ვერიკოს.

კონტაქტურ კარატეში 10-11 წლიანებში I ადგილზე გავიდა ხორავა დიმა, მესამეზე - გაბისონია გეგა.

12-14 წლიანებში I ადგილი ადამია რატიმ დაიკავა, II ადგილზე ჩერჩუკი ნიკა გავიდა, ბასილაია ალიკა კი მესამე ადგილს დასჯერდა.

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ 1913 ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ

საფეხბურთო კლუბი ფოთის "კოლხეთი 1913 " გამოდის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში , ა ჯგუფში ისინი არიან პირველ ადგილზე და უშუალო კონკურენტებს, რომლებიც იბრძვიან ფლეიოფში მოსახვედრად უსწრებენ 13 ქულით, მეორე ადგილოსნებს 2 ქულით. გუნდის მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნება გახლავთ. წელს ჩემპიონატის პირველი ლიგა განსხვავებული ფორმატით ტარდება , ა და ბ ზონაში გამარჯვებული პირველი ორი გუნდი თბილისში შეიკრიბება და იქ ჩაატარებს ოთხთა ტურნირს, სადაც ამ ოთხი გუნდიდან ორი გამარჯვებული გადავა უმაღლეს ლიგაში. როგორც გუნდის ხელმძღვანელობაში აცხადებენ, ეს ურთულესი თამაშები იქნება, თუმცა, გუნდი ამ სირთულისთვის მზადაა და მაქსიმალურს გააკეთებს უმაღლეს ლიგაში მოსახვედრად. ჯერჯერობით გუნდმა ოთხი თამაში ითამაშა. მეორე წრეში ფოთის "კოლხეთი" უფრო გაძლიერდა, დაემატა ფეხბურთელები საქართველოს სხვადასხვა გუნდებიდან. თბილისის "დინამოდან" დათო ხოჭოლავა, თემურ ფარულავა მარტვილის "მერანიდან", ასევე მარტვილიდან გადმოვიდა შალვა კვანტალიანი, წყალტუბოს "სამგურალიდან" ლევან ყიფიანი, "გაგრიდან" თამაზ ჯიშკარიანი, მარნეულის "ალგეთიდან" ვაჟა ნემსაძე, ლანჩხუთიდან თემურ შარაშენიძე. როგორც ცნობილია, ფოთში გასინჯვაზე იმყოფებოდა ორი უცხოელი ფეხბურთელიც, თუმცა მათ ვერ დააკმაყოფილეს მწვრთნელის მოთხოვნები. უმაღლეს ლიგაში გადასვლის დიდი იმედი აქვს მთავარ მწვრთნელს ზაზა ინაშვილს. როგორც მან გვითხრა: "ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ გუნდი გადავიდეს უმაღლეს ლიგაში. წინ გველოდება ძალიან პრინციპული თამაშები. მართალია, გუნდს ახლა არ აქვს ფინანსური პრობლემები, გვერდში დაგვიდგა ფოთის პორტი, რისთვისაც მის ხელმძღვანელობას მადლობას ვუხდით, მაგრამ გვაქვს პრობლემა სტადიონთან დაკავშირებით. საშინაო მატჩებს ვატარებთ ლანჩხუთის, ქობულეთის ან სამტრედიის სტადიონებზე. გავიარეთ შეკრება დუშეთში".

ჩვენ დავათვალიერეთ სტადიონი, რომლის საფარი ორი წლის წინ აღდგა, სტადიონის მთავარი სპეციალისტი ამირან ლომაძე ჩვენთან საუბარში გულისტკივილს გამოხატავს: "ორი წელია საფარი აღდგა, მაგრამ ფედერაცია აქ არ დაუშვებს თამაშებს, რადგან სტანდარტს ვერ ვაკმაყოფილებთ. ვუვლით, რაც შეგვიძლია, ხდება სასუქის შეტანა, მორწყვა, მაგრამ თუ არ მოეწყო გასახდელები, საშხაპეები, ისე როგორ უნდა ითამაშონ? ჯერ არაფერი ვიცით, როდის მოეწყობა ეს ყველაფერი".

ფოთის "კოლხეთი 1913" წინ აქვს თამაშები ქობულეთის გუნდ "შუქურასთან", ასევე თბილისის "დინამო 2"- თან. პრობლემების მიუხედავად, გუნდი კარგ ფორმაშია. ვუსურვოთ მათ წარმატებები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ

21–23 მარტს მდინარე კაპარჭაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში საქართველოს საგაზაფხულო პირველობა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, მცხეთისა და ფოთის ნაკრები გუნდები. ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: 3 ადგილი დაიკავეს: დავით ლაბაძე –1X–1500მ(პატარები), ვალერი კაჭარავა –1 X–2000მ(დიდები), 2 ადგილზე გავიდნენ: გიორგი ერემაშვილი –2X–200მ.
საბა ბერიძე–2X–200მ. 2 ადგილი აიღეს: აკაკი სამუშია–2–200მ. ზურაბ კინტირაია –2--200მ. 3 ადგილი ერგოთ: პეტრე ქავთარაძე–2–200მ. ნიკოლოზ ქავთარაძე-2-200მ.
2 ადგილი დაიკავეს: გიგი კუპრაძე–2–1500მ. გიორგი შეროზია–2–1500მ. 2 ადგილზე გავიდნენ აკაკი სამუშია–2X–2000მ. ზურაბ კინტირაია–2X–2000მ.
3 ადგილი აიღეს: დათო ლაბაძე–2X–1500მ. ილია მაჩიტაძე–2X–1500მ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

25 მარტს კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე–11 ტურის შეხვედრები გაიმართა, სადაც ფოთელი კალათბურთელები მასპინძლობდნენ „შპს" გუნდებს. 16 წლამდელი კალათბურთელები დამარცხდნენ თავიანთ თანატოლებთან ანგარიშით 42:57, ხოლო 14 წლამდელებმა მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 67:57.
აპრილის დასაწყისში კი ფოთის საკალათბურთო დარბაზში ჩატარდება დასკვნითი ტურის შეხვედრები ქვეჯგუფებში 16 და 14 წლამდელთა შორის. ფოთელი 16 წლამდელები თბილისის „მართვეს", „ზაზას" და გორელ კალათბურთელებს შეხვდებიან, ხოლო 14 წლამდელები შესაბამისად „ნიკეას", „ზაზას" და გორის თანატოლებს დაუპირისპირდებიან.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲝᲒᲝᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲨᲘ

2014 წლის 21–23 მარტს ლანჩხუთში ჩატარდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებულის, ავთანდილ გოგოლიშვილის ტურნირი „თავისუფალ ჭიდაობაში" 2000 –2002 წწ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის, სადაც მეორე ადგილი დაიკავა ადელ კუმარიტოვმა – 53 კგ. წონით კატეგორიაში. მესამე ადგილზე გავიდა ლაზარე გადელია – 38 კგ. წონით კატეგორიაში, მეოთხე ადგილი აიღო ზვიად ჯალაღონიამ – 26 კგ. წონით კატეგორიაში და ასევე მეოთხე ადგილი დაიკავა საბა გადელიამ 35 კგ წონით კატეგორიაში.

ᲐᲑᲡᲝᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

12-16 აპრილს ხობში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 2014 წლის აბსოლუტური ჩემპიონატი ჭადრაკში გაიმართება. ჩემპიონატის ფულადი საპრიზო ფონდი 1250 ლარია. ჩემპიონატი ტარდება რეგიონის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით და ხობის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.
24 მარტს კი თბილისში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის 1-ლი ლიგის ტურნირი 10 წლის ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდა და მასში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 60-მდე მოჭადრაკე, მათ შორის ფოთის საჭადრაკო სკოლის 4 მოსწავლე. 10 წლის გოგონათა შორის წარმატებით იასპარეზა და 1-ლი ადგილი მოიპოვა ელენე წოწონავა.

სამზარეულო

სასარგებლო რჩევები

ბანანის ნამცხვარი ცხობის გარეშე

ინგრედიენტები:

fxvieri namcxvari («peCenia») 250 g
karaqi an margarini 120 g
banani 2
moxarSuli Sesqelebuli rZe 1 qila
naRebi 35 % 150 ml
Savi Sokoladi 100 g
nigozi 50 g

ფხვიერი ნამცხვარი დავტეხოთ და წვრილად დავფშვნათ, რომ ფქვილად იქცეს – ამისთვის შეგვიძლია ბლენდერიც გამოვიყენოთ. კარაქი გავადნოთ. დაფშვნილ ნამცხვარს დავასხათ გამდნარი კარაქი და კარგად მოვურიოთ. ეს მასა გადავიტანოთ საცხობ ფორმაში (უმჯობესია გამოვიყენოთ ისეთი ფორმა, რომელსაც გვერდები ეხსნება) და ხელით თანაბრად დავაბრტყელოთ, თან გვერდებიც ამოვუყვანოთ. საცხობი ფორმა 15-20 წუთით შევდგათ საყინულეში, რომ მასა გამკვრივდეს და შესქელებული რძის ფენის წასმა გაგვიადვილდეს. ბანანი დავჭრათ თანაბარი სისქის მრგვალ ნაჭრებად. ცალკე თასში მიქსერით ავთქვიფოთ ნაღები. საცხობი ფორმა გამოვიღოთ მაცივრიდან, ნამცხვრის ფენას გადავუსვათ მოხარშული შესქელებული რძე, შემდეგ მოვაწყოთ დაჭრილი ბანანი, ზემოდან დავასხათ ათქვეფილი ნაღები და რამდენიმე საათით ან მთელი ღამით შევდგათ მაცივარში, ოღონდ არა საყინულეში. ორთქლის აბაზანაზე გავადნოთ შავი შოკოლადი. ამისთვის ღრმა თასში ან ქვაბში უნდა ჩავასხათ წყალი, ზემოდან კი დავადგათ მეორე, მომცრო ზომის თასი ისე, რომ მისი ძირი წყალს არ ეხებოდეს. შოკოლადისთვის განკუთვნილი თასი უნდა იყოს მშრალი და მასში არ უნდა მოხვდეს წყლის ერთი წვეთიც კი. გამდნარი შოკოლადი მოვასხათ უკვე გაცივებულ ნაცხვარს, ზემოდან კი მოვაყაროთ მსხვილად დაფქული ნიგოზი.
თუ მაღალცხიმიანი ნაღები არ გაქვთ, მისი ჩანაცვლება ნაღების ფხვნილისგან მომზადებული კრემით შეგიძლიათ. ამისთვის 1 ჭიქა ნაღების ფხვნილს უნდა დავასხათ იმავე რაოდენობის რძე ან წყალი და მიქსერით ვთქვიფოთ რამდენიმე წუთის განმავლობაში, სანამ მასა არ გამყარდება. თუმცა ასეთი კრემი ნაკლებად გამრიელია.

ეს საინტერესოა
სასარგებლო კულინარიული რჩევები

რამდენიმე რჩევა, რომელიც სამზარეულოში გამოგადგებათ!

- ხარშვისას ბრინჯს დაამატეთ 1 კოვზი ძმარი - ის ქათქათა და ფანტია გახდება.
- თუ არაჟანს ცოტაოდენ რძეს შეურევთ, წამოდუღებისას, სოუსში, აღარ აიჭრება.
- მოშუშვისას რომ კომბოსტო არ გაყავისფრდეს, დაჭრილს ჯერ მდუღარე გადაავლეთ, შემდეგ ყინულოვანი ცივი წყალი. კარგად გაწურეთ და მოშუშეთ.
- ხარშვის ბოლოს ყავას მარილის ორიოდე კრისტალი დაამატეთ და განსაკუთრებულ გემოს შეიძენს.
- თეთრი ღვინის შეცვლა კერძში შეგიძლიათ ცოტაოდენ ძმარში გახსნილი 2 ნატეხი შაქრით.
- მაიონეზის შეცვლა სალათებში შეგიძლიატ არაჟნით, რომელშიც წინასწარ გაქნით მოხარშული კვერცხის გულს და 1 ჩაის კოვზ მდოგვს.
- კისელის მომზადებისას კენკრის არომატი და ცოცხალი ფერი რომ შეინარჩუნოთ, ჯერ მისგან წვენი გამოწურეთ, მოხარშეთ გამოწურული ხილი შაქართან და სახამებელთან ერტად და ბოლოს, ცეცხლის გარეთ დაამატეთ წვენი.

ანეკდოტები

სვანს თავის მოკვლა უნდა და შეუვარდება ერთ მანქანას ბორბლებში და არ მოკვდება.
მერე შეუვარდება მეორეს, მაგრამ არც ეხლა მოკვდება, მესამესაც შეუვარდება და მაშინაც არ მოკვდება და ბოლოს მოიფიქრებს, რომ მოძრავ მანქანას შეუვარდეს

****

კაცი მიწაში რაღაცას ასაფლავებდა. მეორემ ჰკითხა:
- რას ასაფლავებ?
- სიდედრს
- ნიჩაბი სისხლიანი რატომაა??
- სამჯერ ამომიხტა საფლავიდან .

****

სვანი წყლის პირას ზის, მივა ერთი ცხენიანი კაცი და ეკითხება:
- ღრმა წყალია?
- არაა, ძაან პატარაა.
- კაცი შევა ცხენიანად და ჩავარდება, ძლივს გამოვა. აბა მითხარი არაა ღრმაო?
- რა ვიცი, წელან იხვმა გაიარა და წელამდე წვდებოდა და

****

სვანეთში მასწავლებელი ბავშვებს ეუბნება:
- აი თუ კარგად ისწავლით სამოთხეში მოხვდებით, თუ ცუდათ ჯოჯოხეთში.
ადგა პატარა მაიზერა და მასწავლებელს ეუბნება:
- არ შეიძლება მასწავლებელო, სკოლა ცოცხლებმა დავამ-თავროთ?

****

სომეხი წიგნს კითხულობს. პერიოდულად ადგება, სინათლეს გათიშავს და ისევ რთავს.
ცოლმა ჰკითხა: - არმენჩიკ, ეგრე რატომ აკეთებ?
-ვაა, გადამრევ - გადაფურცვლისას დენი ტყუილად რატომ უნდა დაიწვას??!!

****

კაცი შედის ტვინების მაღაზიაში. გამყიდველს კითხავს:
- ყველაზე კარგი ტვინი რომელია??
- თქვენ აარჩიეთ ბატონო.. ეს მეგრელისაა, ეს კახელის, ეს გურულის, ეს ქართლელის .
- ეს სვანისაა ხო?
- დიახ!
- ყველაზე ძვირი რატოა? ეს ხომ ყველაზე პატარაა!
- ძნელად საშოვნელია და თან უხმარია !

****

სვანმა იაპონიაში იყიდა სათვალე, რომელიც ხალხს აშიშვლებს რომ გაიკეთებს.
დადის გახარებული სვანი, ვისაც შეხედავს ყველა ტიტველია მოიხსნის სათვალეს აცვიათ.
ჩამოვიდა სვანეთში, შევიდა სახლში უკეთია სათვალე ხედავს ჯუტა და ვიღაც კაცი ტიტვლები სხედან დივანზე.
მოიხსნა სათვალე - ისევ ტიტივლები სხედან.
- ეეჰ გაფუჭდაო და გადააგდო სათვალე.

****

saavadmyofoSi:
-aba, Cemo besarion, naxvamdis, Sen mkurnaloba ar gWirdeba,
momikiTxe bebia da babua, babuaSenis Zma.
-ras ambob eqimo, egeni xom cocxlebi ar arian?
-aba me ras geubnebi,Se kaco, momikiTxe-meTqi…

gazeTis xelmomwerTa sayuradRebod!
ერთი ნომრის ღირებულება
ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის
გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი თქვენი პრობლემებიდან

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს დისტრიბუტორად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 341417,

თქვენი პრობლემებიდან TQVENI PROBLEMEBIS KVALDAKVAL

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.